№ 246

პარასკევი, 28 ნოემბერი, 1897 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 246

პარასკევი, 28 ნოემბერი, 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ვყიდულობთ

ცოცხალს, კავკასიის გარეულ ცხოველებს:

ირმებსა, ჯეირნებს, ვეფხვებს, ჯიხვებს, ხრჩვებს, არნებს, ფოცხვერებს და სხვ.

**საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები და გარეული ფრინველები.**

მიხეილის ქუჩა, № 106, ეზოში; სახლი ბარამოვისა. იკითხეთ **ჰუგო გინკლერი.** (6—212—1)

გამგეობა ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისა ამითი აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ **პირველ დეკემბრიდგან** ვაგონებს ტფილისის ცხენის რკინის გზისას შეაჩერებენ მხოლოდ იმ ადგილას, რომელიც მოწონებულია ქალაქის გამგეობისაგან და აღნიშნულია ბოძებით. ამ ბოძებს აწერია:

**О. Т. Ж. Д.**

მხედველობაში გვაქვს-რა, რომ ვიდრე საზოგადოება შეეჩვევა ამ ახალ წესს, რაოდენიმე დრო მოუნდება, ყოველისავე გაუგებრობის ასაცილებლად, გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ვაგონები მოგზაურების მისაღებად უწინდებურად ჩერდებოდეს. (3—108—3)

კვირას, 30 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზედ დანიშნულია **საგანგებო კრება** ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა"

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, ფრეილინის ქუჩაზედ.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ მოწვევის ბარათები. (3—6.—2)

### მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო: ნადვორნი სოვეტნიკობა: ახალქალაქის ოთხ-კლასიანის სასწავლებლის მასწავლებელს ნაცვლიშვილს; ყვირილის ნორმალურ ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველს იოსელიანს; ტფილისის სამოქალაქო სამ კლასიან სასწავლებლის ექიმს თარხნიშვილს. კოლეჟსკი ასესორობა: თელავის სამოქალაქო სამ-კლასიანის სასწავლებლის მასწავლებელს ცისკარაშვილს; მუჯალის ნორმალურ ერთ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველს ნიჟარაძეს. ტიტულიარნი სოვეტნიკობა: თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს მამალაძეს; ასხაბადის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს, ბოდელაძეს; გუმბრის ალექსანდრეს სახელობის ნორმალურ ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველს ადამიას. სოფლის ნორმალურ ორ-კლასიანი სკოლების მასწავლებლებს ცხინვალისას ხიმშიაშვილს და კახისას ხუციშვილს; გორის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად ნამყოფს ნანაბიშვილს. კოლეჟსკი სეკრეტრობა: დუშეთ-თიანეთის ნორმალურ ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწეს წითლანიძეს. კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ქუთაისის საქალაქო მოსამზადებელ სასწავლებლის მასწავლებელს მესხს და ნაისაკოვსკის სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველს დგებუაძეს.

დამტკიცებულ იქმნენ: კოლეჟსკი ასესორად ტფილისის მესამე გიმნაზიის მასწავლებელი თაყაიშვილი; ტფილისის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი ღულაძე. კოლეჟსკი სეკრეტრად: ზუგდიდის სამოქალაქო ექვს-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელი ჩიჩუა; ახალციხის სამოქალაქო ოთხ-კლასიანის სასწავლებლის მასწავლებელი ბურჭულაძე; გორის სამოქალაქო სამ-კლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი ტატიშვილი; ახალ-ბაიაზეთის სამოქალაქო ორ-კლასიანის სასწავლებლის მასწავლებელი გომელაური; კოლეჟსკი რეგისტრატორად: განჯის სამოქალაქო სამ-კლასიანის სასწავლებლის მასწავლებლის თანაშემწე ჯაფარიძე; ნახიჩევანის სამოქალაქო სამ-კლასიანის სასწავლებლის მასწავლებლის თანაშემწე თავადი წულუკიძე და ყარსის სამოქალაქო სამ-კლასიანის სასწავლებლის მასწავლებლის თანაშემწე წითლიძე.

გადაყვანილ იქმნა: ტფილისის სამაზრო პოლიციის სამმართველოს საქმის მწარმოებელი კვალიაშვილი — იმავე სამმართველოს რეგისტრატორად.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობისაგან, თავისისავე თხოვნით, თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ვარლამ ოყროშიძე.

## ახალი ამბავი

—

*** რამდენად საჭიროა ტფილისში კიდევ ერთი საშუალო სასწავლებელი, შემდეგი ამბავი ამტკიცებს. დაიბადა თუ არა სურვილი ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსებისა, ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა მოხსენება წარუდგინა საბჭოს ამ საქმის შესახებ, ამ საქმისათვის შემომწირველნიც აღმოჩნდნენ. გუშინ, 27 ნოემბერს, ქალაქის გამგეობას განუცხადა ს. მ. ნუნუფაროვმა, რომ დასაარსებელ პროგიმნაზიის შენობისათვის შემომიწირავს 800 ოთხ-კ. საჟენი მიწაო. ბ-ნ ნუნუფაროვის მეზობელმა ჩითახოვმაც იმავე შენობისათვის შესწირა 500 ოთხ-კუთ. საჟ. ამგვარად, პროგიმნაზიის შენობისათვის უკვე არის ადგილი და, იმედია, სხვებიც აღმოჩნდებიან შემომწირველნი, თუ ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების საქმე გადაწყდა.

*** ტფილისის სახაზინო პალატამ მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვს, ძალა დაატანეთ თელავის ქალაქის მოურავს, რომ თავ. ვახვახიშვილისა, რუსიშვილისა და სხვათა მამულებზედ, რომელნიც აგარაკ კურდღელაურშია, უწესოდ გაწერილი დარჩენილი გარდასახადი ქ. თელავის მამულებზედ გააწეროს და ჩქარა მოკრიბოსო.

*** უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ მაჰმადიანთათვის სავალდებულო არ არის სასამართლო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში ქუდმოხდილები იდგნენ ხოლმე. „მაჰმადიანებიო, არამც თუ სახელმწიფო დაწესებულებებში, არამედ მეჩეთშიაც კი თავ დახურულები არიან. მაჰმადიანნი ვალდებულნი არიან ლოცვის დროს ჩალმა დაიხურონ. თავის დახურვა მაჰმადიანებში პატივსა და თაყვანის ცემას ჰნიშნავს, ხოლო ფეხსაცმელის გახდა უფრო მეტს პატივისცემას. ამის დარღვევა უარ ყოფა იქმნება იმ წესებისა, რომელსაც მაჰმადიანები პატივის ცემის ნიშნად ასრულებენო, სწერს „Юрид. газ."

*** 24 ნოემბერს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ კრებაზედ დაადგინა, გამოსცეს მომავალ 1898 წელს გაზეთი „კავკასიის სასოფლო მეურნეობა" იმავე პროგრამით, როგორც აქამდის იბეჭდებოდა.

*** 6 დეკემბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების შენობაში ტფილისის ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოება კონცერტს გამართავს.

*** დღეს, 28 ნოემბერს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კრება აქვს. კრებაზედ წაიკითხავენ თავიანთ მოხსენებებს: ა. ა. ქალანთარი—„ამიერ-კავკასიაში მერინოსის ცხვარი", მ. ს. კაზასი—„რუსეთის პირველი ჩაი ა. ა. სოლოვცევისა ნიჟეგოროდის გამოფენაზედ."

*** მთავარ-მართებლის კანცელარიის უფროსს საქმის მწარმოებელს, რ. ა. ლანგე-პოზდნეევს თხოვნა შეუტანია, რომ თანამდებობიდგან განმათავისუფლეთ, რადგან ავადმყოფობისა გამო არ შემიძლიან სა-

## ფელეტონი

—

### სლოვენეცთა სწავლა-განათლების საქმე.

(პედაგოგიური ნაწყვეტები)

ამ სათაურით დაბეჭდილია რუსულს საპედაგოგიო გაზეთს „Жизнь и Школа"-ში *) საყურადღებო წერილი, რომლის შინაარსიც დაახლოვებით გვსურს გავაცნოთ მკითხველებს.

რუსების მონათესავე სლოვენეცთა ერი სლავიანთა ტომის ერთს პატარა შტოს წარმოადგენს და სცხოვრობს ევროპის სლავიანთა საცხოვრებელ ადგილების განაპირა მხარეში; მას გარშემო ახვევია სამი მძლავრი მეზობელი: ნემეცები, იტალიელები და მადიარები. ეს მეზობლები თავგამეტებით სცდილობენ, რომ სლოვენცები დედამიწის ზურგიდგან აღგავონ, გააქრონ გადაგვარება-გადარჯულების შემწეობით. ამიტომ ისინი ავრცელებენ სლოვენეცთა შორის თავისს კულტურას, თავისს ზნე-ჩვეულებას და ამით სურთ დაიახლოვონ და შეისისხლ-ხორცონ იგინი. სლოვენეცთა რიცხვი ნამდვილად მილლიონ ნახევრამდის ადის, მაგრამ ოფიციალურად-კი განძრახ მხოლოდ მილლიონი და ერთი ათასზედ ცოტა მეტი ითვლება. სლოვენეცთა რაოდენობა ოფიციალურის აღრიცხვით ისეთი მცირეა, რომ არც კი არის ვითომ ყურადღების ღირსი: ამის გამო სლოვენეცთა დეპუტატებს ავსტრ-უნგრეთის რეიხსტრატში მაინც და მაინც თითქმის არაფრის გაკეთება არ შეუძლიანთ და ვერც აკეთებენ თავისის ერის სასარგებლოდ, რადგან უმრავლესობას რეიხსტრატში ნემეცები და სხვა ტომთა დეპუტატები შეადგენენ. ცხადია, რომ სლოვენცებს მტკიცე კავშირი უნდა ჰქონდეს სხვა სლავიანთა ტომებთან ავსტრ უნგრეთში, რომ უფრო მტკიცედ დაიცვან თვისი ვინაობა, მაგრამ ასეთი კავშირი მათ შორის ვერ ხერხდება. ამისი მიზეზი ისაა, რომ უძლიერესი სლავიანთა ტომთა შორის—ჩეხები იბრძვიან რეიხსტრატში თვისის ისტორიულის უფლების დასაცველად და სლოვენცებისათვის არა სცალიანთ; სლოვენცებს ასეთი უფლება არა აქვთ და ამიტომ ესენი სცდილობენ დაიცვან თავისი ეროვნობა, თავისი ეროვნული თვით-არსებობა, თავისებურობა. ავსტრიელთა სლავიანებზედ სრულდება ლათინური ანდაზა: „duobus litigantibus, tertius gaudet"—„როცა ორი ჩხუბობს, მესამე იცინისო". მეტის-მეტად აფერხებს სლოვენეცთა ტომის უცხო თესლთან ბრძოლას ის გარემოება, რომ ექვს სლოვენურს ბინა-ადგილას სცხოვრობს მცირე ნაწილი სლოვენცებისა და უცხო ტომთა წარმომადგენლებთან არეულნი არიან; უფრო ბევრი სლოვენცები სცხოვრობს მხოლოდ კრაინში. უცხო ერნი სცდილობენ თავიანთი წარმომადგენლები (დეპუტატები) აღირჩიონ რეიხსტრატში; ამის გამო ასე ცოტაა რეიხსტრატში სლოვენეცთა დეპუტატების რიცხვი.

ესევე გარემოება სწავლა-განათლების საქმესაც აფერხებს სლოვენეცთა შორის. სლოვენეცთ აქვს დღეს ათასამდის სკოლა; ამათ რიცხვში ნამდვილი სლოვენურია მარტო ორასი; დანარჩენს რვაასში სლოვენეცთა ახალ თაობამ უნდა ისწავლოს მისთვის უცხო ენები: ნემეცური, იტალიური, ან უნგრული. რა წარმატება ექნება მასწავლებელს, რომელიც ასწავლის ბავშვებს ამა თუ იმ საგანს უცხო ენის საშუალებით? მართალია, ბავშვები ექვსიდგან თოთხმეტს წლამდის შედიან სკოლაში და ცოტა რასმეს შეიძენენ, მაგრამ უფრო იმ შემთხვევაში, უკეთუ უცხო ენათა შესწავლა მშობლიურს ენაზედ იქნება დამყარებული. ზოგიერთს სკოლებში მასწავლებელი დიდს ცოდვად სთვლის სლოვენთა ბავშვებს მათს მშობლიურს ენაზედ ელაპარაკოს, რის გამოც ასეთს სკოლებში ჰმეფობს არეულ-დარეულობა, უწესოება, ერთმანერთის გაუგებრობა; აქ მასწავლებლებს არა ესმით-რა ბავშვებისა და ბავშვებს მასწავლებლებისა.

მშობლები და სლოვენეცთა დეპუტატები ყოველთვის სჩივიან სლოვენეცთა სკოლების ასეთის არა სანატრელის მდგომარეობის გამო, მაგრამ ყოველი მათი საჩივარი რჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა"; სჩანს მთავრობისათვის სულ ერთია, შეირჩენენ სლოვენცები თავისს ეროვნობას, თავის ვინაობას, თუ დაჰკარგვენ... სლოვენცებთ ერთი და იგივე პასუხი მოსდით მთავრობისაგან თავისს საჩივრებზედ: მთავრობა იმიტომ ატანს ძალას სლოვენცთა შვილებს უცხო ენათა შესწავლის საქმეში, რომ ამ ენათა შესწავლა იმათ მისცემს მომავალში სახსარს არსებობისას, მისცემს ლუკმა პურს; მთავრობას სიკეთე უნდა სლოვენცთა და აზრად არა აქვს იმათი მტრობაო. მართალია, უცხო ენის შესწავლა სლოვენცთა ბევრის ახალგაზდისათვის სასარგებლოა, განსაკუთრებით სამხედრო სამსახურში, მაგრამ უმეტესობისთვის-კი მეტად მავნებელია,—არიან ისეთები, რომელთაც დაამთავრეს სწავლა პირველდაწყებითს სკოლებში, მაგრამ ცოდნა-კი ვერა შეიძინეს რა: არ იციან არც უცხო ენა და არც თავისი, დედა ენა, თუმცა-კი სკოლაში დიდ

*) 1897 წ. №№ 29 და 30.

მსახურიო. ამ თანამდებობაზედ ამავე კანცელარიის მოხელეს ნიკოლსკის ჰნიშნავენ თურმე.

⁂ ტფილისის ღორის ხორცით მოვაჭრე ყასბებმა შეიტყეს თუ არა, რომ გირვანქა ღორის ხორცზედ 5 კაპ. იქმნა დადებულიო, მაშინვე მიჰმართეს გამგეობას, რომ მეტად მცირე ნიხრია დადგენილი, ვიზარალებთ და ცოტა კიდევ მოუმატეთო, მაგრამ ქალაქის გამგეობამ არ შეიწყნარა ეს თხოვნა, რადგან საცდელად თითონ დაჰხოცა ღორები და ისე გაიგო, რა ფასიც უფრო შესაფერისია.

⁂ 20 ნოემბერს, სიღნაღის მაზრის, სოფელ ანაგაში ჩხუბის დროს იქაურმა მცხოვრებელმა შაქრო მქედლიშვილმა ხანჯლით დასჭრა სოფ. კარდანახის მემამულე თავ. ლუკა ვაჩნაძე.

⁂ ქუთაისის საგუბერნიო მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ სოხუმის ოლქის გუდაუთის ნაწილის უფროსს პორუჩიკს ჩიქოვანს მიეცეს 600 მან. იმ ჭრილობის მოსარჩენად, რომელიც იმან ყაჩაღ მასირ გაბისონიასთან შეტაკების დროს მიიღო.

⁂ გაზ. „ახ. მიმოხ.“-ს სიტყვით, გორის მაზრის უფროსი თავ. რ. შ. ერისთავი თანამდებობას თავს ანებებს. იმის ადგილას ქუთაისის და დაღესტნის სამხედრო გუბერნატორების კანცელარიის მმართველად ნამყოფს ა. ა. ბიბიკოვს ჰნიშნავენო.

⁂ „მთავრ. უწყ.“-ში გამოცხადებულია, რომ პეტერბურგელ ვაჭრებს ტოტინს, კლარკს და რაფაელოვიჩს ნება დაერთოთ შეადგინონ ახალი საზოგადოება „შავის ქალაქის ნავთის მწარმოებელი ამხანაგობა ქ. ბაქოში“. ამხანაგობას ძირითადი თანხა 60,000 მან. ექმნება. თითო პაი 500 მან. ეღირება.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ტფილისის გუბერნატორმა თ. ა. ბიკოვმა დაამტკიცა გორის მაზრის სოფ. ვაყის საზოგადოების განაჩენი ამ სოფელში სასოფლო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

⁂ ქუთაისი. ქუთაისში არსებობს უფასო სამკითხველო, რომელიც ხელოსნებისთვის არის დაარსებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ხელოსნები ძალიან გულ გრილად ეკიდებიან ამ კეთილს დაწესებულებას. მიზეზი ამისი, რასაკვირველია, ის არის, რომ ხელოსანთა უმეტესობა განუვითარებელია, სამკითხველოში სიარულისა და წიგნების კითხვის ნაცვლად სამიკიტნოებში დადიან და ტყუილა-უბრალოდ ჰფლანგავენ, ჯაფა-ოფლის ღვრით ნაშოვნ ფულს ღვინოში.

აქ ჩვენ სახეში უმეტესად ახალგაზდა ხელოსნები გვყავს, რომლებმაც წერა-კითხვა კარგად იციან და რომლებსაც ადვილად შეუძლიან დასტოვონ გამოუსადეგარი და ყოვლად მაზიანებელი საქციელი, ე. ი. ლოთობა, სამიკიტნოებში ფულების ფლანგვა და თავიანთი თავისუფალი დრო წიგნების კითხვას მოახმარონ, რაც, უეჭველია, დიდს სარგებლობას მოუტანს.

⁂ სოფ. ქვიშხეთი. სოფ. ქვიშხეთში, სახელდობრ გიგიტანთ უბანში, გაჩნდა ყალათმა ერთი თვე იქნება. ყოველ დღე ხუთი-ექვსი სული იხოცება, რადგანაც შიშისაგან მეზობელი მეზობელს ვერ ეკარება, ამიტომ მიცვალებულებს არავინ ჰპატრონობს და ავადმყოფობა უფრო ვრცელდება; 19 ნოემბერს ერთს ოჯახში სამი და და ერთი ძმა ამ სენმა გაიტანა და არავინ ამ გადამდებ სენს ყურადღებას არ აქცევს.

⁂ ს. ამაღლება, (ქუთაისის მაზრა). 7 სექტემბერს აკურთხა ახლად დაარსებული სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელი საეპარქიო მზრუნველმა მ. კელენჯერიძემ მრავალ სამღვდელოების თანადასწრებით. სოფლის ხალხმა დიდის ამბით იდღესასწაულა ეს დღე. დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვით სასწავლებლის დაარსებაში: დეკანოზი გ. ცაგარეიშვილს, მ. კელენჯერიძეს, ი. სანებლიძეს და მ. გ. ტყეშელაშვილს. სასწავლებელი ჯერ-ჯერობით ქირით დაჭერილ სახლშია მოთავსებული და, იმედია, სასწავლებელს მალე საკუთარ შენობასაც აუშენებენ. აგრეთვე კარგი იქმნება, ვისიც ჯერ არს თავი გამოიდოს და საავადმყოფო დააარსოს. ჩვენი სოფლების მცხოვრებლები არც ისე ღარიბები არიან, რომ ორიოდე მანეთი არ გამოიღონ ამ კეთილ საქმისათვის.

⁂ დ. სამტრედია. ჩვენ დაბაში ყოველივე სანოვაგე მახლობელ სოფლებიდგან შემოჰქონდათ და შემოაქვთ, რისთვისაც მშვენიერი გზები იყო გაყვანილი აქეთ-იქით. 1895 წლის ნიაღვრებმა სულ ერთიანად წაახდინა ეს გზები და დღემდის იმავე მდგომარეობაში არიან. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მახლობელ სოფლებიდგან ხალხს გაჭირვებით შემოაქვთ სანოვაგე და ძლიერ ძვირადაც იყიდება. მერე ნეტა სულ ადვილად არ შეიძლებოდეს შეკეთება-შესწორება გზებისა, მაგალითად ქუთაისისკენ მიმავალ გზატკეცილს მარტო ექვს ადგილას უნდა გაუკეთდეს ბოგირი.

⁂ გამოვიდა და დაურიგდა ხელისმომწერლებს ნოემბრის № ჟურნალ ჯეჯილისა შემდეგის შინაარსით: მთხოვარი, ლექსი—შ. მღვიმელისა; ქაღალდის ამბავი—თეოფ. კანდელაკისა; პატარა ლორდის თავ-გადასავალი (შემდეგი)—ე—კოსი; ქიანჭველა, ლექსი—მაფშალიასი; ორი ობოლი: ედიშერა და გიშერა—თ. კანდელაკისა; ფარნაოზი (ისტორიული ამბავი)—გ. წყალტუბელისა; საკვირველებანი ბუნებისა—ხეველა—ლადო აღნიაშვილისა; პატარა წინამძღოლი (თარგმანი) ს. ციციშვილისა; ქურდი მოჯამაგირე (იგავი)—ალ. მ—შვილისა და სხვა.

⁂ პოლიციის მეცხრე ნაწილში, მესამე თუმანოვის ქუჩის უკან, გორაზედ, რკინის გზის ლიანდაგს ახლო, მიწის სათხრელს ადგილას უპოვნიათ მიწაში ჩაფლული მკვდარი ყმაწვილი. ამ ადგილის ახლო-მახლო ყმაწვილები თამაშობდნენ თურმე, დაგროვებული მიწა ნახეს, საიდგანაც რაღაც ყური მოსჩანდა. ეს ამბავი შეატყობინეს კაცებს, რომელნიც მივიდნენ და ნახეს მიწით დაფარული პატარა ყუთი, რომელშიაც ჩასვენებული იყო მკვდარი ყმაწვილი, ორისა თუ სამის კვირის, დედათა სქესისა. ყმაწვილი სუფთა ნაჭრებში იყო გახვეული და თეთრის ხილაბანდითა ჰქონდა თავი შეკრული. ტანზედ გარედგან არავითარი ნიშნები არა ჰქონდა მოკვლისა. იქვე ახლო ტელეგრაფის ბოძზედ ჩარჭობილი იყო ბარათი, რვეულიდგან ამოხეულ ქაღალდზედ დაწერილი ყარანდაშით რუსულად ამ შინაარსისა: „აქ აღმოსავლეთის მხარეს მიწის ქვეშ მარხია მკვდარი ყმაწვილი ქალი. გთხოვთ საავადმყოფოში გაგზავნოთ. ავლაბრის სასწავლებლის მოსწავლე 22 ნოემბერს 1897 წლისა“. ბარათის დამწერი თუმცა ცდილა ხელის გამოცვლას, შეცდომით წერას, რომ ვითომც ახალ მოსწავლის ნაწერიაო, მაგრამ ზედ ეტყობა, რომ მცოდნე კაცის ნაწერი უნდა იყოს. გამოძიება სწარმოებს. როგორც ამბობენ, ამ ადგილს ეს მეორედ ჰპოულობენ დაფლულს გვამს. შარშანაც იპოვნეს ერთის მოკლულის თათრის გვამი.

## წერილი ლეჩხუმიდან

იმ დროს, როდესაც ჩვენის ერის გულ-შემატკივარ და წარმატების გზაზედ დადგომის მოსურნე-მოღვაწეთა სანუგეშოდ ჩვენის ქვეყნის თითქმის ყოველის კუთხის მკვიდრნი ცოტად თუ ბევრად იჩენენ გონებრივ გამოფხიზლებასა და თვით-მოქმედების უნარს, ჩვენი ბედ-შავი ლეჩხუმი და იმის მკვიდრნი ფრიად სამწუხარო სურათს წარმოადგენენ; ლეჩხუმს თითქო უკვე გარდაუწყვეტია ყოველგვარი იმედი სიცოცხლისა და ამიტომ აღარავითარ ზრუნვა-მეცადინეობას აღარ იჩენს, სიკვდილს და დაძაბუნებას როგორმე ხელიდგან გაუსხლტეს. ჩვენდა სანუგეშოდ, ამ უკანასკნელს ხანებში ქართველის ხალხის გონებრივმა ყოფა-მდგომარეობამ, სანატრელის სისრულით თუ ვერა, ცოტა მაინც იცვალა ფერი და სცდილობს დაადგეს ეხლანდელის ცხოვრების მიერ გაკვალულს გზას. ვინც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს ყურადღებით კითხულობს, ის უეჭველად დაგვეთანხმება, რომ ჩვენის ქვეყნის ზოგიერთ კუთხის მკვიდრთ გონებრივი განვითარება და წინმსვლელობა შესამჩნევად დაეტყოთ. ჩვენის ხალხის ყოფა-მდგომარეობის მეთვალყურენი სწერენ ხოლმე სანუგეშო ამბებს, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენის ქვეყნის დაბა სოფლებისა თავიანთ მეცადინეობითა და ხარჯით აარსებს ორ-სამ-კლასიან სკოლებს, წიგნთ-საცავ სამკითხველოებს და საკვირაო სკოლებს. და ამგვარის საშუალებით იჩენენ ჭკუა-გონებისა და აზროვნობის საზრდოს მოპოვების სურვილს, ჰმართავენ საქველ-მოქმედო წარმოდგენებს, და ამ რიგად მოპოებულს თანხას ახმარებენ საზოგადო სასარგებლო საქმეებს. გარდა ამისა აარსებენ საკუთარ დეპო-მაღაზიებს, გამსესხებელ-შემნახველ კასსებს, სამხანაგო მარნებს, ბეღლებს და სხვანი და ყველა ეს-კი აშკარად ჰმოწმობს იმას, თუ რამდენად წაიწიეს ჩვენმა სიბნელით მოცულმა დაბა-სოფლებმა და რამდენად შეიგნეს ის ჭეშმარიტება, რომ სხვის ხელის შეყურება კუჭს არავის გაუძღობს და სხვისი დათესილი და მომკილი ხორბალი ბეღელს არავის აუმსებს...

ზემოდ ვთქვით, რომ ლეჩხუმი სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს-მეთქი. დიახ, ჩვენის მაზრის მკვიდრნი ვერ იჩენენ გონებრივად გამოფხიზლებასა და ეხლანდელის ცხოვრების დაკვირვების უნარს; ისინი ბევრად ჩამორჩნენ დანარჩენ თავიანთ მოძმე ქართველებს. მთელს მაზრაში არ მოიპოვება საზოგადოების შეერთებულის აზრითა და ხარჯით დაარსებული არც ერთი ისეთი სასწავლებელი, რომ ლეჩხუმელ მოზარდ თაობას შეეძლოს პირველ დაწყებითი სწავლა მაინც შეიძინოს. მართალია, ზოგიერთ სოფლებში არის სამინისტრო სკოლები, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებელთა სწავლა-განათლების წყურვილს. ლეჩხუმში ვერ იპოვით ვერც ერთს წიგნთსაცავსა და სამკითხველოს, რომ წერა-კითხვის მცოდნე ლეჩხუმელს შეეძლოს რიგიანი და სასარგებლო წიგნი გამოიტანოს იქიდგან წასაკითხად. წარმოდგენების, დეპო-მაღაზიების, გამსესხებელ-შემნახველ კასსების, საერთო მარან-ბეღლების, საკვირაო სასწავლებლების და სხვა ამ გვარ დიდად საჭირო და სასარგებლო დაწესებულებათა ხსენება ხომ სულ არ არის ჩვენში.

ამნაირ ყოფა-მდგომარეობაში მყოფ ხალხის მომავალი, რასაკვირველია, სანუგეშოს არას წარმოადგენს. ამისათვის დიდად სასურველია, რომ ლეჩხუმის მკვიდრთა მოწინავე წრე გამოფხიზლდეს ღრმა ძილისაგან და შეუდგეს თავისის ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესობას და ზრუნვა მეცადინეობას.

---

ხანს სწავლობდნენ. მტრებს სლოვენცებისას, როგორც ჩანს, სურთ ასეთნი უცოდინარნი გაამრავლონ მათ შორის, რომ მერმისში არღა შესძლონ თავიანთი თავი და თვისი სამშობლო დაიფარონ.

ვინაიდგან მთავრობა იმას სცდილობს, რომ სლოვენცებმა დაჰკარგონ თვისი ეროვნობა, ფრიად სასურველია, რომ სლოვენეცთა მასწავლებლებმა თვით შეასრულონ თვისი მამულიშვილური მოვალეობა, ჩეხთა და პოლონელთა მასწავლებელთა მსგავსად. სლოვენეცთა მასწავლებელნი, რომელთა რიცხვი 2400-მდის იქმნება, ცუდი მამულიშვილები არიან და ვერ ულვიძებენ ახალთაობას კეთილშობილურს გრძნობებსა ... უფროს ერთი ამ მასწავლებელთა თაყვანს სცემს ანდაზის აზრს: „ubi bene, ibi patria“—იქ არის ჩემი მამული, სადაც მე კარგად ვიცხოვრებო“. მართალია, სლოვენეცთა მასწავლებლებმა დააარსეს ოცდა ათამდის სამასწავლებლო წრე, რომელნიც შემდეგში გადაკეთდა „სლოვიანცთა მასწავლებელთა კავშირად“; მართალია სლოვენეცთა ენაზედ ორი საპედაგოგიო ჟურნალიც გამოდის, მაგრამ ამ ბოლოს დროს ზოგიერთის მასწავლებლების მოქმედება ცხად ჰყოფს იმ აზრს, რომ იმათთვის მამულიშვილობა იმდენად არის ხელსაყრელი, რამდენადაც იგი სარგებლობას მისცემს. სლოვენეცთა მასწავლებლობა მუდამ უჩივის თავისს ნივთიერს მდგომარეობას და თხოულობს ჯამაგირის მომატებას; ეს მომატება-კი გამოიწვევს მცხოვრებთა სიღარიბეს; ჰხედავენ ხალხის სიღარიბეს და მასწავლებლების თხოვნას სლოვენცთა დეპუტატები არ აკმაყოფილებენ. ამის გამო ბევრი მასწავლებელი მთავრობის მოხელე გახდა, გადუდგა მოძმე ერს, რომელიც იმას ბავშვების აღზრდას ანდობს. ასეთი მასწავლებლები მამულიშვილებად არ ჩაითვლებიან, ვინაიდგან ისინი თავისის თავის მოყვარენი არიან და მოღალატენი სამშობლოსი.

ხორუტანიის მხარეში მასწავლებლები პირდაპირ მტრულად ექცევიან სლოვენეცთა ერს და ისინი ყოვლის ღონისძიებით სცდილობენ გაანემეცონ სლოვენეცთა ახალგაზდობა. ხორუტანიის სამოცდა ათი მასწავლებელი ნივთიერს დახმარებას იღებს სლოვენეცთათვის მავნებელის მოქმედებისთვის ნემეცთა ერთის საზოგადოებისაგან, რომელსაც სახელად „Schulverein“ ეწოდება. ამ საზოგადოებამ აქამომდე 100,000 გულდენი დახარჯა სლოვენთა მიწა-წყალზედ ნემეცურის კულტურის გასავრცელებლად. ამავე საზოგადოებას აქვს რამდენიმე საკუთარი სკოლა სლოვენეცთათვის; ამ სკოლებში ზოგიერთი უგუნური მშობლები დიდის სიხარულით აძლევენ თავისს შვილებს და, თვისდა საზარალოდ, ამით ემსახურებიან ნემეცთა ეროვნულს საქმეს. ხსენებულის საზოგადოების მსგავსად სლოვენეცთა მიწა-წყლის სამხრეთ ნაწილში მოღვაწეობს იტალიელთა საზოგადოება, რომელსაც სახელად ეწოდება „Lego nazionale“: ეს საზოგადოება სცდილობს თავისს ბადეში გააბას სლოვენეცთა ახალთაობა. იტალიელთა საზოგადოებამ დააარსა განსაკუთრებით კარგად მოწყობილი სკოლები, რომელთაც შეწირულობა მოსდით თვით იტალიიდგანაც კი. სლოვენცების უფროს-ერთი შვილებს ამ საზოგადოების სკოლებში ჰზრდის.

ეროვნულის არსებობის დაცვის სურვილმა აიძულა სლოვენცები დაეარსებინათ ერთი მტკიცე საზოგადოება, მსგავსად ჩეხებისა, სახელდობრ „წმიდათა კირილლე და მეთოდეს საზოგადოება ლიუბლიანში“. ამ საზოგადოებას აზრად აქვს—დაიფაროს, დაიცვას სლოვენეცთა ახალთაობა გადაგვარება-გადარჯულებისაგან და აღზარდოს იგი ქრისტიანობრივ-ეროვნულს ნიადაგზედ. ამ საზოკადოებამ ბევრი რამ სასარგებლო გააკეთა სლოვენეცთა ერისთვის, რომელსაც სიღარიბის გამო აგრე რიგად არ შეუძლია ნივთიერი დახმარება გაუწიოს თავისს მხსნელს საზოგადოებას, მან დააარსა რამდენიმე სკოლა ტრიესტსა და ფელიკოვცში, და სხვა სკოლებსაც აძლევს მცირეოდენს შემწეობას. ეს საზოგადოება ჯერ ხანად ღარიბია, წელიწადში მხოლოდ 10,000 გულდენი აქვს შემოსავალი და ამ მცირე ფულით არ შეიძლება გაკეთდეს ყველა ის, რაც კი სლოვენეცთა ერის განვითარებისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს.... სლოვენეცთა სამშობლოში მრავალგან აღმართულია დიდი სასკოლო შენობები, მაგრამ ამით არ განიზომება სწავლა-განათლების საქმე. განათლების საქმეს კარგად წარმართავდენ სლოვენცები, იმათი მომტრე უცხო ერები რომ ხელს არ უცარავდნენ. ვიდრე სლოვენეცთა სკოლები განემეცების აზრს ემსახურება, იმ დრომდე სლოვენცები სულითა და გულით ვერ გაიხარებენ სასკოლო შენობათა სიდიადე-სიმშვენიერის გამო. ძალიან ცოტა სკოლას აწერია ზედ: „სლავენური სკოლა“; უმეტესობას ისეთი არა სლავიანური სახელები აწერია, რომ იგი ცხად ჰყოფს იმათს უკულმართს, სლოვენეცთა ერის არსებობის სამარის კარს მიმყვანს მიმართულებას.

ორინიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებზედ უფრო სამწუხარო სურათს ჩვენი თავად-აზნაურობა წარმოადგენს. ეს წოდება ნივთიერად დღით-დღე უკან იწევს, მამა-პაპური ავლა-დიდება, ადგილ-მამული ხელიდგან ეცლება; კნინდება, სუსტდება და ღარიბდება, ხოლო გონებრივად განვითარება და გამდიდრება სრულებით არ ეტყობა. თავად-აზნაურობას რამდენი ხანია აქვს ლაილაშში ერთ-კლასიანი სასწავლებელი, რომელსაც დაარსებისთანავე ლეჩხუმის თავად-აზნაურთა სასწავლებელი დაარქვეს, მაგრამ თქვენს მტერს ჰყავდეს ისეთი პატრონი და ჰირისუფალი, როგორც ამ უბედურს მთვარეზედ დაბადებულს სასწავლებელს ჰყავს. არა ეშველა-რა იმის გაზრდა-წარმატებას. სოფლის საზოგადოებანი საკუთარის ხარჯით აარსებენ ორ სამ კლასიან სკოლებს და ჩვენმა თავად-აზნაურობამ ისიც ვერ მოახერხა, რომ თავისი ერთად-ერთი სასწავლებელი ცოტაც არის მაინც გაეუმჯობესებინა. ერთი წიგნთ-საცავი და სამკითხველო არ მოიპოვება ლეჩხუმში. განა იმის დაარსებას დიდი ჯაფა და ხარჯი დასჭირდება? მაგრამ ლეჩხუმელებს საერთოდ სალათას ძილი მოგვკიდებია და უნდა ვეცადოთ ჯერ ეს დამღუპველი სენი მოვიშოროთ როგორმე თავიდგან.

ქაიხოსრო გელოვანი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. საგარეჯო**, 18 ნოემბერი. ამას წინად გაზეთ „ივერიაში" მოხსენებული იყო, რომ ამ სოფელში ღვინისა და სიმინდის მოსავალი კარგი იყო, პურისა-კი მცირეო. აქაური გლეხი უფრო ხვნა-თესვას მისდევს, ვიდრე მევენახეობას, რადგანაც საგარეჯოს საზოგადოებას დიდი მინდორი აქვს და ეს არის უმთავრესი ხელის შემწყობი მიზეზი ამგვარ მეურნეობისა. პატარა ვენახები კარ-წინა აქვთ გაშენებული, ამ ვენახების გამოსავალი ისეთი მცირეა, რომ იმათს მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს. ამასთან არც ისეთი ღვინო დგება, რომ შეიძლებოდეს მისი ბაზარში გატანა და მუშტრის მოპოვება. არიან აქ მემამულენი, მაგრამ მათი რიცხვი ძალიან მცირეა და ამიტომ არ შეიძლება ისინი მხედველობაში ვიქონიოთ. რადგანაც პურის მოსავალი მცირე იყო და სიმინდისა-კი კარგი, ამიტომ ყოველივე იმედი გლეხისა ამაზეა დამყარებული. სიმინდმა უნდა გამოჰკვებოს იმისი ოჯახი, დააკმაყოფილოს იმისი სხვა და სხვა მოთხოვნილება და გაუძღვეს საგლეხო გარდასახადს.

რამდენად მცირე იყო პურის მოსავალი, ეს იქიდგანა სჩანს, რომ გლეხებმა ოქტომბრის დასაწყისშივე დაიწყეს სიმინდის გარევა პურში და ეხლა-კი ცალიერს მჭადსა სჭამენ. საუბედუროდ, არც ქერის მოსავალი იყო და ამიტომ იმისი ადგილი დაიჭირა სიმინდმა ზოგიერთ საქონლის კვებაში. დიდს გაჭირვებაში ჩავარდება გლეხი, რადგანაც კარგი მოსავალი სიმინდისა ვერ დააკმაყოფილებს ყველა იმის საჭიროებას. მოხერხებულმა, გაიძვერა ვაჭრებმა იგრძნეს, რომ სიმინდის ფასი შემდეგში აიწევს, ამიტომ მოედვნენ სოფელს და დაიწყეს სიმინდის ყიდვა. სიმინდის ფასმა მანეთიდგან შვიდ აბაზამდე აიწია კოდზედ. გლეხიც, რასაკვირველია, ეშურება და ჰყიდის, ვერ-კი წარმოუდგენია, რომ ამ ახლო მომავალში მამასისხლად მათგანვე მოუხდება ყიდვა ამავე სიმინდისა.

ციებ-ცხელებამ საგრძნობლად იკლო და იმედია, მალე მოისპობა.

—

სოფ. საგარეჯოდგან გადაყვანილ იქმნა შულავერში ტყის-მცველის თანაშემწე ბ-ნი მურვანიშვილი ამავე თანამდებობაზე. ფრიად პატიოსანი ყმაწვილი კაცი იყო და იმის მოშორებამ ძალიან დაადონა მთელი სოფელი. დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ხალხისა, რადგანაც ყველას ძმურად და მეგობრულად ეპყრობოდა; არ მოიპოვება აქ ისეთი კაცი, რომ მასთან სამდურავი ჰქონდეს, თუმცა მან მთელი ოთხი წელიწადი დაჰყო გარეთ კახეთში. ამ ხნის განმავლობაში გლეხებისაგან ქურდულად ტყის ჩეხვა და ამიტომ ოქმის შედგენაც ძალიან იშვიათი მოვლენა იყო, რადგანაც გლეხებს დიდი ხათრი და პატივისცემა ჰქონდათ მისი. თუ რამე საჭიროება ჰქონდათ გლეხებს სახელმწიფო ტყიდგან ან მინდვრიდგან სარგებლობისა და იმას არ შეეძლო მათი დაკმაყოფილება, მაშინ შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე და ნებართვას უღებდა. გლეხის გაჭირვება თავისგაჭირვებად მიაჩნდა და ყოველთვის მზად იყო დახმარება აღმოეჩინა.

საზოგადო საქმეებშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა. რაც ხანი აქ დაჰყო, იგი ითვლებოდა საგარეჯოს სახალხო წიგნთ-საცავის გამგეობის წევრად; როგორც ერთი გამგეობის წევრთაგანი, სულ იმის ცდაში იყო, საშუალება რამე მოეპოვებინა და გაემდიდრებინა წიგნებით ეს წიგნთ-საცავი. ამიტომ, რაც-კი იმართებოდა წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, ის ყველაში მონაწილეობას იღებდა. ხშირად მეთაურიც იყო თითონ წიგნთ საცავის სასარგებლოდ წარმოდგენების, ლატარიების, ლიტერატურულ საღამოების გამართვისა და სხვ. შარშან ყოველ ღონისძიებას ჰხმარობდა აელაგმა ახალის ჯურის ჩარჩები, რომლებიც ვენახის წამლობამ დაჰბადა. ამიტომ ხელის მოწერა გამართა, შეაგროვა ფული და ამ ფულით უყიდა საწყალ გლეხებს, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ საკუთრებად იქონიონ, რამდენიმე გაზის სასხურებელი მანქანა და გოგირდის შესაბერი. ნეტა რა ავ ენამ დააშორა ამ სოფელს ეს სასარგებლო და ხალხის გულ შემატკივარი კაცი?

წიგნთ-საცავის გამგეობის წევრად ბ-ნ მურვანიშვილის მაგივრად ამორჩეულ იქმნა აქციზის მოხელე ბ-ნი ცვეტკოვი.

დროებით საგარეჯოელი

## რუსეთი

—

სასჯულო საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ცოლ-ქმართა გაყრის საქმის წარმოების უფლება მარტო ნაფიც ვექილთა და იმათ თანაშემწეთ მიეცეთო.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში წარუდგენიათ განსახილველად დედათა შორის ბალოსნობის ცოდნის გავრცელების შესახებ შემუშავებული პროექტი.

— ზოგიერთ ერობათ უმაღლესს სასულიერო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა დაუწყიათ, რომ დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული ნიხრი მღვდელთა დასაჯილდოვებლად ქორწინების გარდახდისათვის.

— ამ დღეებში გამოვა ახალი კრებული გარდასახადთა რუსეთის რკინის გზებით ქვა-ნახშირის წასაღებ-წამოსაღებად.

— გლეხთა ყოფა-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აგრონომს დ. ი. ნაზაროვს პროექტი შეუდგენია „გლეხთა ამხანაგობების" დაარსების შესახებ. პროექტი განსახილველად და თავიანთის აზრის წარმოსათქმელად დაეგზავნებათ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ. პროექტში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ საჭიროა ამნაირი ამხანაგობანი ყველა სოფლებში იქმნას დაარსებულიო.

— განზრახვა აქვთ, როდესაც ქარხნებში მომუშავეთა შორის წერა-კითხვის ცოდნის გავრცელებას სავალდებულოდ გახდიან, ქარხნების პატრონთ განსაკუთრებული გარდასახადი შეაწერონ, იმის მიხედვით, რამდენი მუშაც ეყოლებათ ქარხანაში. პირველ ხნობით ყოველ მუშა ადამიანზედ, წლოვანობის მიუხედავად, გარდახდებათ თურმე 1 მ. 50 კაპ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს ხელი შეუწყოს შინამრეწველობის გავრცელებას და ამ აზრით უნდა განაუკეთესოს შინამრეწველობისათვის საჭირო იარაღები, გააიაფოს შეუმუშავებელი მასალა და განაწეს-რიგოს მწარმოებელთა და მხმარებელთა დამოკიდებულება.

— ამ წლის 31 აგვისტოს პერმის საოპერო თეატრის გამგეობას დეპეშა გაუგზავნია უწმიდესს სინოდში და უთხოვნია, რომ ნება მოგვეცით სათეატრო დარბაზში პარაკლისი გადავიხადოთ, რადგან ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი პეტრე ნებას არ გვაძლევს, და ღვთისადმი ლოცვა-ვედრებით დავიწყოთ ამ წლის სეზონიო. უწმიდესმა სინოდმა მოუხერხებლად დაინახა პარაკლისის გადახდა თეატრის დარბაზში და არ შეიწყნარა თურმე სათეატრო გამგეობის თხოვნა.

## უცხოეთი

—

**ავსტრია.** იმ ამბავმა, რომ ბადენის სამინისტრომ თანამდებობას თავი დაანება, დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია ავსტრიის ნემეცთა შორის. ზოგიერთ ქალაქებში, სადაც უმეტესობას ნემეცები შეადგენენ, დიდი ჩირაღდნები და დღესასწაულები იქმნა გამართული. ნემეცებმა ყველა საქმეს თავი დაანებეს და დილით—საღამომდე პატრიოტულ სიმღერებს ჰმღეროდნენ. ვენის ქალაქის მოურავი ლიუგერი მთელი დღე ეტლით ქუჩა ქუჩა დადიოდა და აქა-იქ შეყრილ ხალხს აუწყებდა, რომ სამინისტრომ თანამდებობას თავი დაანებაო. ასევე იქცეოდნენ ბოჰემიის ნემეცები. იმათ დიდი მანიფესტაციები და მიტინგები გაჰმართეს იმ წამსვე, რა წამსაც დეპეშამ სამინისტროს გადადგომის ამბავი მოიტანა. ყველა ეს ამბავი, რასაკვირველია, ჩეხელებს არ ესიამოვნებოდათ. იმათ თავის მხრით პრაგაში ნემეცთა საწინააღმდეგო დემონსტრაციები გამართეს. 18 ნოემბერს მთელი პრაგა საომარ მოედნად იყო გადაქცეული. ჩეხელებმა დემონსტრაცია ამ დღეს საღამოს დაიწყეს. გრაფ ოსფალდ ტუნეს სასახლე თითქმის მიწასთან გაასწორეს. ამ სასახლეს ფანჯრები და კარები სრულიად აღარ შეარჩინეს. ასეთივე დღე დააყენეს ჩეხელებმა ბარონ ერენტალის სასახლეს, ნემეცების დედათა გიმნაზიას, ნემეცების საქალაქო სკოლას, საკრედიტო ბანკის განყოფილებას, ნემეცების ყავახანებს და სხვა შენობებს. იმათ ნემეცების გაზეთების რედაქციების წინ მოახდინეს დემონსტრაციები. გაზ. „Bohemia Prager Tagebl."-ის რედაქციის შენობას უშველებელი ქვები და ჯოხები დაუშინეს. შემდეგ ცხენოსანი რაზმი გაჩნდა და მემანიფესტენი გაჰფანტა, მაგრამ ჩეხები ერთხელ კიდევ შეიყარნენ ნემეცთა თეატრის წინ და იმის ფანჯრები და კარები ჩაამტვრიეს. ბოლოს, როგორც იქმნა, ჯარმა ქუჩები განათავისუფლა ბრბოსაგან და ქალაქში მშვიდობიანობა დაამყარა. დეპეშამ უკვე მოიტანა ამბავი, რომ ამ მანიფესტაციების გამო ქალაქ პრაგაში აუარებელ ჯარს მოუყარეს თავი, რომელსაც ქალაქში მშვიდობიანობის დამყარება აქვს მინდობილი.—გაზეთების სიტყვით ავსტრიის ახალი სამინისტრო, ბარონ გაუჩის მეთაურობით, უფრო დიდს გაჭირვებაში ჩავარდება, ვიდრე გრაფ ბადენის სამინისტრო იყო ჩავარდნილი. ჯერ ვერ გამოურკვევიათ, ვინ დაუჭერს სამინისტროს მხარს: „მემარცხენენი", ე. ი. ნემენცთა საეროვნო დასი, თუ „მემარჯვენენი", ე. ი. სლავიანთა უმეტესობა. მემარცხნეთ ეხლავე მოსთხოვეს გაუჩს, რომ გააუქმე გრაფ ბადენის განკარგულება ჩეხთა ენის უფლებათა გაფართოვების შესახებ. უამისოდ ჩვენ სამინისტროს მხარს არ დავუჭერთ და ისევ იმ პოლიტიკას დავადგებით, რა პოლიტიკასაც გრაფ ბადენის დროს ვადექით. გარდა ამისა, ისინი პარლამენტის პრეზიდენტის აბრაგამოვიჩის გადაყენებას და იმის ნაცვლად სხვის ამორჩევას თხოულობენ. თუ გაუჩმა ყველა ეს აღასრულა, მაშინ სლოვიანთა უმეტესობა დიდსა და ძლიერს ოპოზიციას შეადგენს, რომელთან ბრძოლა მთავრობას საშინლად გაუჭირდება; მით უმეტეს, რომ გაზ. „Wien. Tagepl."-ის სიტყვით, მემარჯვენენი, რომელთაც სლოვიანთა უმეტესობა შეადგენს, გრაფ ბადენის გადაყენების შემდეგ, უფრო მტკიცედ დაკავშირდნენ და დაახლოვდნენ. იმათ გადასწყვიტეს არამც თუ არ მისცენ ნება, რომ გაუქმებულ იქმნას გრაფ ბადენის განკარგულება ჩეხთა ენის შესახებ, არამედ ეცადნენ უფრო მეტი უფლებანი მიანიჭონ ჩეხებს და სლავიანთა სხვა ერთ. გარდა ამისა, ისინი პალატის პრეზიდენტის აბრაგამოვიჩის გადაყენების წინააღმდეგნიც არიან.

## დამაკვირდი

—

განსაკუთრებული კანონები სხვა რა არის, თუ არ დაკანონებული მტარვალობა.

ბუასტი

***

მართლ-მსაჯულება უსამართლობაა, როდესაც იგი ადამიანური არ არის.

დელილესი

***

დიდად დარწმუნებული ვარ, რომ ყოველს წარმატებას ჭეშმარიტს ბუნების-მეტყველების შექმნა-შესწავლის მხრივ შედეგად ადამიანის ზნეობის სისრულე და სიკეთე მოსდევს.

ჰაკკელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის ერთმა ჟურნალმა სთხოვა თავისს ხელის მომწერ ქალებს, მოგვწერეთ, რა ხნის კაცები უფრო მოგწონთო. და იცით, რა მისწერეს ქალებმა ჟურნალს? ქალი მხოლოდ იმ ხნის კაცს მოიწონებს, რომელიც არ არის 30 წლისაზე ახალგაზდა და 45 წლისაზე მოხუციო. უფრო საკვირველი ის არის, რომ ამ საქმის შესახებ თითქმის ყველა ინგლისელმა ქალებმა ერთი და იგივე აზრი წარმოსთქვეს. აი, რასა სწერს, მაგალითად, ერთი ქალი: „კაცი რომ ორმოც-და-ხუთს წელს გადასცილდება, თავისს ცოლის გარდა აღარავის მოეწონება. ოც-და-ათის წლიდგან დაწყებული ორმოც-და-ხუთს წლამდე-კი შეიძლება, რა ხნის ქალსაც გნებავთ, მოეწონოს. ამ ხნის კაცი პატივის-ცემითა და მოწიწებით ეპყრობა ქალსა და ამითი მოგვწონს". მეორე ქალი სწერს: „მართალია, შესაძლებელია, რომ ოც-და-ათის წლის ქალმა ოცის წლის ჭაბუკი შეიყვაროს და თავიც შეაყვაროს, მაგრამ ეს ჭაბუკი ქალისათვის მხოლოდ სასიამოვნო და დროს გასატარებელი იქმნება, როგორც მაგალითად, კარგის ჯიშის ძაღლის ყოლაა სასიამოვნო, მაგრამ შუახნის კაცი-კი უფრო კარგს ამხანაგობას გაუწევს ამ ქალსა. ისიც მოხდება ხოლმე, რომ სულ ახალგაზდა ქალს ხნიერი პოლკოვნიკი მოეწონოს, მაგრამ, გავა ცოტაოდენი დრო და ქალი იგრძნობს, რომ ეს კაცი საჩემო არ იყო, მე არ შემეფერებაო. ოც-და-ათის წლის ქალი-კი ორმოცის წლის კაცს ისე უყურებს, როგორც საფეროს. ვერაფერი თავაზიანობა იქმნება, ეს იმითი ავხსნათ, რომ ქალი უფრო ადრე ჰბერდება მამაკაცზედ, მაგრამ ეს გარემოება ძნელად თუ სხვა რამით აიხსნება.

ამგვარად, თუ ინგლისელს ქალებს ყური დავუგდეთ, მხოლოდ ოც-და-ათიდგან ორმოც-და-ხუთ წლამდე უნდა ჰქონდეს კაცს იმედი, რომ ქალს შევუყვარდებიო. მართალია, ამ ხნის კაცს სახეზედ ნაოჭები უჩნდება, და თმაც უთეთრდება, მაგრამ ეს არაფერია. ერთი ინგლისელი ქალი ამტკიცებს, რომ მამაკაცის სილამაზეს ქალის თვალში არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. სწორედ ბედნიერები ყოფილან ორმოცის წლის კაცები. თუ ჯერ კიდევ შერჩათ სილამაზე, ქალები ამბობენ, აი, მხოლოდ ამ ხნის კაცი არის ლამაზიო და თუ ლამაზი არ არის, მაშინ ამბობენ კაცის სილამაზეს ჩვენს თვალში არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო.

რომ ახალგაზდა კაცებს გული არ გაუტყდეთ, ვეტყვით დასამშვიდებლად, რომ იმ ქალებმა, ვინც ეს პასუხები მისწერეს რედაქციებს, უკვე გადააჭარბეს ოც-და-ათს წელიწადს.

***

ეგრედ წოდებულ რენტგენის სხივებით ეხლა ჯარა-ექიმებიც სარგებლობენ იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის თავის ქალაში ტყვია დარჩება. ამავე სხივებით სარგებლობენ, როდესაც ადამიანის სხვა ნაწილში დარჩება ტყვია, მაგრამ უფრო საყურადღებო და სასარგებლოა, რომ ამ სხივების შემწეობით ჯარა-ექიმს შეუძლიან დაინახოს თავში ჩარჩენილი ტყვია და ადვილად ამოიღოს იგი, რაგანაც აქედგან უფრო ძნელია ტყვიის ამოღება.

***

მკითხველს მოეხსენება, რომ იტალიელმა მარკონიმ გამოიგონა და გაჰმართა ისეთი მანქანა, რომლის შემწეობით შესაძლებელია დეპეშის გადაცემა უმავთულოდ. ეხლა ერთი მეცნიერი ამბობს, შორს არ არის ისეთი დრო, როდესაც ადამიანს შეეძლება ელექტრონის შემწეობით დაეკითხოს თავისს ნაცნობს, სად არის იგი იმ ჟამად. ადამიანი

ავა სადმე მთაზედ და ხმა მაღლა დაუძახებს თავისს ნაცნობს: „სადა ხარ?“ ნაცნობი უპასუხებს: „ზღვით ვმოგზაურობ!“ ან კიდევ: „ამერიკაში ვარ“. ან „ალპიის მთებში“. თუ კაცმა პასუხი ვერ გაიგონა, ეს იმისი ნიშანი იქმნება, რომ იმისი ნაცნობი ცოცხალი აღარ არის. ეს რა დასაჯერებელიაო, იკითხავს გაოცებული მკითხველი, მაგრამ ამაზედ ვუპასუხებთ: რა დასაჯერებელი იყო წინად, რომ მაგალითად, კაცს ტელეფონით შეეძლებოდა ერთის ქალაქიდგან მეორე ქალაქს მყოფ ნაცნობთან ლაპარაკი. განა ტელეგრაფი, ტელეფონი, რენტგენის სხივები, ფონოგრაფი და სხვა ამ გვარი გამოგონება ნაკლებად არის საოცარი, მაგრამ უკვე გამოგონილი რომ არის და ჩვენის თვალითა ვხედავთ და ჩვენის ყურით გვესმის, იმიტომ აღარ გვიკვირს.

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ახალის მკითხველის მიერ ტფილისში გამოცემული წიგნი: „როგორ საზრდოობს მცენარე“, კუროჩკინისა, რუსულიდგან გადმოკეთებული ს. გ.—ს მიერ. წიგნი კარგის ქართულის ენით არის ნათარგმნი და ფრიად სასარგებლო ცნობებს შეიცავს მცენარის ბუნების შესწავლის შესახებ. წიგნი შეიცავს 106 გვერდს და ჰღირს 25 კაპ.

—

კიდევ ერთი საყმაწვილო წიგნაკი გამოვიდა, რომელიც ძალიან ასიამოვნებთ ჩვენს ბავშვებს. ეს წიგნია ბ-ნ გრ. ტატიშვილის მიერ გამოცემული საყმაწვილო სურათებიანი წიგნი: „ხუმარა სპილოები“, გადმოკეთებული მის მიერვე. წიგნაკში აწერილია სპილოს როგორ იჭერენ, აშინაურებენ და სწვრთნიან. ყოველივე ეს მოთხრობილია ადვილად გასაგების, სწორედ საბავშვო ენით. გამოცემულია წიგნაკი ისე სუფთად და ლამაზად, როგორც ჩვეულებრივ ყველა წიგნაკები, ბ-ნ გრ. ტატიშვილის მიერ გამოცემულნი. შიგ ჩართულია 15 სურათი სპილოებისა. წიგნაკი შეიცავს 32 გვერდს და ჰღირს 20 კაპ.

ბ-ნი ტატიშვილი გვპირდება კიდევ სამის წიგნის გამოცემას: სურათებიან სახალხო წიგნისას „ტიკსუსუნე“, „მერცხლის ბუდეს“ შმიდტისას და ანდერსენის ზღაპარს „დედას“.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 ნოემბერი.

**კონსტანტინეპოლი.** ზავის შესახებ დელეგატებმა გუშინ ხელი მოაწერეს ორს ოქმს, რომელთა შორის ერთი შეეხება ზავის პირობათა მესამე მუხლს, რომელშიაც აღნიშნულია განსაკუთრებული პირობა, რომლის ძალითაც უნდა მოხდეს მორიგება: 1) განსაზღვრა იმ ადგილებისა, სადაც არსებობს სადამოქნო თავისუფლება; 2) განსაზღვრა ელჩების უფლებათა; 3) პირობანი, რომელნიც მხედველობაში უნდა იქმნენ მიღებულნი სახლების გაჩხრეკის დროს; 4) აღიარება ოსმალეთის საკასაციო სასამართლოს უფლებათა; 5) აღიარება ოსმალეთის სასამართლოთა გარდაწყვეტილება უფლებათა საბერძნეთის ქვეშევრდომთა გაკოტრების საქმეში, აგრედვე ბერძენთა და სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომთა შორის ერთმანეთთან სადავო საქმეებში და 6) უზრუნველყოფა ოსმალეთის მთავრობის შემწეობით ოსმალეთისავე სასამართლოების გარდაწყვეტილებების ასრულებათა; საბერძნეთის ელჩებმა თვისი საწინააღმდეგო მოსაზრებანი წარმოსთქვეს. ყოველსავე ზემოხსენებულს ოსმალეთი თხოულობს და ყოველივე ეს უნდა განიხილოს ელჩების კრებამ. მეორე ოქმი შეეხება სავაჭრო და სანავოსნო პირობებს. ამ ოქმის ძალით უნდა დამყარდეს იგივე პირობები, რომელიც არსებობდა ომის დაწყებამდე.

26 ნოებერი

**პეტერბურგი.** 26 ნოემბერს საზამთრო სასახლეში გაიმართა პარადი, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, პრინცესა შლეზვიგ-გოლშტეინისა და პეტერბურგში მყოფნი ყველა უავგუსტოესნი წევრნი. გამოსვლის დროს მათ იმპერატორებით უდიდებულესობას წინ მიუძღვოდა წმ. გიორგის ორდენის კავალერი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე. ეკკლესიის შესავალში მათს უდიდებულესობას დაუხვდა პეტერბურგისა და კიევის მიტროპოლიტები და სამღვდელოება. ყველანი ჯვარს ემთხვივნენ და მერე ეკკლესიაში შევიდნენ. პარაკლისის შემდეგ, აიაზმი აპკურეს დროშებსა, შტანდარტსა და ჯარს. ხელმწიფე იმპერატორმა დაუარა წმ. გიორგის ორდენის კავალერებს. ხელმწიფე იმპერატრიცა ამ დროს სასახლეში შებრძანდა... შემდეგ გაიმართა სადილი. ხელმწიფე იმპერატორმა წარმოსთქვა წმ. გიორგის ორდენის კავალერების სადღეგრძელო. საღამოთი უფასო წარმოდგენა იყო საიმპერატორო თეატრებში.

**პარიჟი.** სენატი. შერრერ-კესტნერმა მადლობა უთხრა სამხედრო მინისტრს დრეიფუსის საქმის გამოამბების შეტყობინებისათვის. ამასთანავე განაცხადა, რომ ყოველივე საბუთები გამოძიებული იქმნებაო.

**პორტ-ოპრენსი.** გაიტი დასთანხმდა გერმანიის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

**ბერლინი.** პრინცი ჰენრიხ პრუსიელი დღეს ბისმარკთან იყო ფრიდრიჰსრუეში და ორ საათს ებაასა.

26 ნოემბერი

**პეტერბურგი.** სამხრეთ-უსურიის საზღვრის კომისარი მატიუნინი დანიშნულ იქმნა რუსეთის რწმუნებულად და საგენერალო ელჩად კორეაში.

**ვენა.** საოპოზიციო დასებმა არ მიიღეს მთავრობის წინადადება მორიგების შესახებ, რომლის ძალით ბოგემია განაწილებულ უნდა იქმნას ნემენცთა, ჩეხთა და ნარევ ოლქებად. ახალგაზდა ჩეხები აცხადებენ, რომ მთავრობის წინადადებანი შეიძლება განხილულ იქმნან იმ პირობით, თუ დაცული იქმნება ორივე ეროვნობის თანასწორობა და ბოგემიის ერთობაო.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. თავისუფალ მოაზრეთა სახალხო დასის წევრი ფლოტის გაძლიერების შესახებ პროექტის წინააღმდეგობას აცხადებს. შუაგულ დასის წევრმა ლიბერმა განაცხადა, რომ ჩემი დასი უკანასკნელს აზრს შემდეგ წარმოსთქვამსო.

**შანხაი.** ჩინან-ფუდგან დეპეშა იუწყება, რომ 21 ნოემბერს გერმანიის საზღვაო ჯარის 200 ჯარის-კაცი, რომელსაც თან ორი იარაღი ჰქონდა, ქალაქ ვიას-ჩაუში ავიდა და თხრილი და ალაყაფის კარები დაიჭირაო. წინააღმდეგობა არავინ გაუწია: ჩინეთის ჯარმა გერმანელთა მოახლოვებისათანავე უკან დაიწიაო.

**ნიუ იორკი.** გერმანიის ორი ჯავშნიანი გემი გაიტში მოვიდა და ულტიმატუმი წარადგინა გერმანიის ქვეშევრდომის ლიუდერსის დაჯილდოვების შესახებ. ლიუდერსი დაპატიმრებულ იქმნა, მაგრამ შემდეგ გერმანიის რწმუნებული ჩაერია საქმეში და გაანთავისუფლეს.

**პარიჟი.** საშუალებანია მიღებული, რომ სენატის გარეშემო მანიფესტანტებს ხელი შეუშალონ. ოთხის ნახევარზედ სენატის წინ გაიარეს სტუდენტებმა, რომელნიც ჰყვიროდნენ: „მიაფურთხეთ შერერ-კესტნერს! მიაფურთხეთ „Figaro“-საო!.

**პარიჟი.** სენატი. აუარებელი ხალხია შეყრილი, დიდი მოძრაობაა. შერერ-კესტნერი თხოულობს ნება მომეცით, რომ ერთს რასმე შევეკითხო მთავრობასაო. გადაწყვეტილ იქმნა, დაუყოვნებლივ განხილულ იქმნას ის საგანი, რომელსაც შერერ-კესტნერი აღძრავსო. შერერი ამბობს, რომ იმ მრავალ ამბების დროს, რომელიც დრეიფუსის საქმემ გამოიწვია, მე თავ-დაჭერილი ვიყავი და ასევე ვიქნები გამოძიების გათავებამდის. „სამხედრო მინისტრმა და საბჭოს პრეზიდენტმა,—სთქვა ორატორმა,— განაცხადეს პალატაში, რომ ჩემგან არაფერი საბუთის ქაღალდი არ მიუღიათ. სამხედრო მინისტრმა სთქვა, რომ არ ვიცოდი იმის საბუთის ქაღალდები და არც საჭირო იყო, რომ მცოდნოდაო. მართალია, საქმე მე იმისთვის არ დამიტოვებია, მაგრამ წარვუდგინე ჩემი დასამტკიცებელი საბუთები და ის ქაღალდები, რომელნიც იმას შეეხებოდნენ. ამის გამო გაზეთებმა ცუდად მომიხსენიეს, მაგრამ მაინც ზოგიერთა გაზეთებმა მხარი დამიჭირეს და დახმარება აღმომიჩინეს (ხანგრძლივი ხმაურობა და ყვირილი). პარლამენტსა და ლიტერატურაშიაც აღმოჩნდნენ ისეთი კაცები, რომელთაც მხარი დამიჭირეს. საბჭოს პრეზიდენტმა სთქვა, რომ მე არ უნდა მივიღო საბუთის ქაღალდებიო, მაგრამ მე მაინც ვეჩვენე. იმან მომიგო, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო. მე ვკითხე, რა საბუთებზედ ამყარებთ მაგ აზრსა-მეთქი (საშინელი ხმაურობა). ამასთან ვუთხარი, საქვეყნოდ გამოვაცხადებ, რომ ვცდები, თუ დასამტკიცებელ საბუთებს მაჩვენებთ-მეთქი. საბჭოს თავმჯდომარე არ დასთანხმდა ამას. ჩემმა თხოვნამ ამაოდ ჩაიარა. იმან მითხრა, რომ ვალდებული არა ვარ თქვენი შენიშვნა მხედველობაში მივიღოო“. სენატმა ერთხმად (231 ხმით) დაადგინა შეუდგეს მორიგი საქმეების განხილვას. კრება დაიშალა.

**პეტერბურგის ბირჟა, 25 ნოემბერი.**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 212 |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $100\frac{3}{8}$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | $102\frac{1}{4}$ | — „ | -- „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 295 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $254\frac{3}{4}$ |


## განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

**ყვავილთა შორის**

მოთხრობა მოხუცის მებაღისა, სურათებით

გადმოღებული სალომე შუბათელისმიერ

ფასი 45 კაპ.

და

ამბავი

**ცხოველთა სამეფოსი**

შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ სურათებით

თარგმანი გრ. ყიფშიძისა

ფასი 50 კაპ.

(5—უ.—3)




(5—209—2)




(11—მ.—6)

# „ივერია“

1898 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 | 5 „ | 5 „ 50 |
| 10 „ | 8 „ 75 | 4 „ | 4 „ 75 |
| 9 „ | 8 „ — | 3 „ | 3 „ 50 |
| 8 „ | 7 „ 25 | 2 „ | 2 „ 75 |
| 7 „ | 6 „ 50 | 1 „ | 1 „ 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7\frac{1}{2}$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე. 21.


Дозволено цензурою, Тифлисъ 27-го Ноября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.